


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭე-  
უჭი სიფყავა, ტყუილებით და ჭიბებით ბუბ-  
თის გატანა ყველა უკადრისბაძე უსამაგლესია.

სამშაბათი, 19 ივლისი. 2016 წ. №133 (8025), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ამჯერად ერდოღანმა იმარჯვა!..



ქართველებს თურქეთში ქართულ ენაზე  
ლაპარაკის კი აუკრძალაოდათ,  
მეამბოხეებს რომ გაემარჯვათო!.. ②

**ტერორიზმი**  
**დაუკლაველი სენია?.. ⑤**

## რა გვიჩვენა ჩვენი გაზეთის მიუკერძოებელმა კვლევებმა?



დღეს საქართველოში ყველა პოლიტიკოსია, ყველა ექსპერტია და საეჭვოდ დაფინანსებული არასამთავრობო წინასაარჩევნო კვლევებით არიან დაკავებული. სათონხელად და საბარავად თუ მესაქონლეობისთვის არავის არა სცალია!

ჩვენც ავდექით და ცოტა შევიცვალეთ პროფილი. ბოლო სამი კვირა ჩვენი რედაქციის ჟურნალისტები და კორესპონდენტები მთელ საქართველოს მოგვადეთ. სულ გამოვკითხეთ 4 ათას 940 პიროვნება. აქედან 2150 მამაკაცი და დანარჩენი ძირითადად ქალები და ახალგაზრდები.

ჩვენმა, მართალია, არამეცნიერულმა, მაგრამ საგულდაგულო,

მიუკერძოებელმა კვლევამ გვიჩვენა:  
„ქართულ ოცნებას“ ამჯერად ხმა მისცა 50,9 პროცენტმა, პატრიოტთა ალიანსს – 11 პროცენტმა, ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხს“ – 10,7 პროცენტმა, „თავისუფალ დემოკრატებს“ – 9,1 პროცენტმა, ნაციონალებს – 10,3 პროცენტმა, ნინო ბურჯანაძის პარტიას – 6 პროცენტმა, ეროვნულ ფორუმს – 1,9 პროცენტმა, ლეიბორისტებს – 0,1 პროცენტმა.

დანარჩენი პარტიების სახელები ვერც გაიხსენა გამოკითხულთა უმრავლესობამ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ ანალიტიკოსთა ბიურო

## 8 ოქტომბრის პოლიტიკური ტაროსის პროგნოზი



### ჭიამყრალა ნეოფაშისტი ჭიამყრალა

ცოტა თუ ბევრად წიგნიერ ქართველს უთუოდ ახსოვს სულხან-საბას ის ცნობილი იტაგი, სადაც ერთმა ვირმა ერთსა უყვსა ტალახსა შიგან გაიარა და მეორედ უკვე გვერდი აუარა იმ უყე ადგილს. საბას თქმით, უყე წყალთა და ზღვათა საფლობი, ღრმა ტალახია, რომელშიც ყოველი გონიერი ადამიანი ორჯერ არ შეტოპავს (რასაკვირველია, აქ ძალაუფლებით გაუმძლარი დამნაშავე ნაციონალები იგულისხმებიან).

ჭიამყრალა ჭიამყრალა კი აინუნშიაც არ ჩაბდო ვირის გამოცდილება და ვეროპულ შარვალ აკარნახებულმა ლამის მთელი საქართველო შემოიარა წინასაარჩევნოდ. თანაც მეტი ძალა რომ მისცემოდა თვით ნადედოფლარი სანდრა ელისაბედ რულოვის იმწყემა. როგორც ჩანს, რულოვის ქალს ისევ გაეღვიძა პირველი ლედობის შინი, ღრმა ტალახში შეტოპილი ვირიც ეგრევე ეიღბლა და კოჭლამაზგაუტალახინებულად პოლანდიური დამტყვეველი ქართულით „მაჟორიტარ სხისიოდ“ აწონებდა

არცთუ მაინცდამაინც გულუბრყვილო საგარეჯოელებს.

არადა, ვინ და საგარეჯოელებმა თავიანთი ხუთი თითივით იციან, ვინც ბრძანდება ეს ჭიამყრალა ჭიამყრალა ჭიამყრალა, რომელმაც, როგორც ბელელს შეჩვეულმა ვირთხამ, მთელი ათი წელიწადი კარგა გვარიანად ხრა სახელმწიფო ხაზინა და, როგორც სამართლიანობის ხმლით ყველა შეშინებულმა ხელგამრუდებულმა, მანაც თბილისის თავზე წამომდგარი ქართველის დედის მახვილი, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ გასაგნობრივებულ ფალოსად წარმოიდგინა, რაც უკანალობის პატივისმცემელმა ნაციონალმა ხელისუფლებამ სამომავლო ფილოსოფიურ განჭვრეტად ჩაუთვალა და სატრაკუცუნებულ საქმეში პრაქტიკის გასაველად ვეროპაში მიავლინა, ხოლო უკვე პრაქტიკაგავილი კი უკანვე დაბრუნა და ცოცხებისგან ქვეყნის შერყეული ჯანმრთელობა ჩააბარა.

საგარეჯოელებს არც ის დავიწყნიათ, რომ ამ ჭიამყრალა ჭიამყრალა ჭიამყრალა ვალ სვლას ფიურერი სააკაშვილი ყოველთვის იმ ან გაჩერებული საათის მიხედვით განსაზღვრავდა, რომელიც ჭიამყრალა ჭიამყრალა ჭიამყრალა დაბადების დღეს თავისივე მოადგილემ აჩუქა, ხოლო ამ ჭიამყრალა „სახელმწიფო მოღვაწემ“ თავისი მოუქრთამლობისა და უღალატობის მიზნით ის საათი ქრთამად თვითონ ყველაზე დიდ მექრთამეს დიდჯობიან სააკაშვილს საჯაროდ მიართვა ერთ-ერთ სხდომაზე.

ერთი სიტყვით, საგარეჯოელებს არც არასოდეს შეშლიათ და, იმედია, არც ახლა შეეშლებათ, როგორ განასხვავონ ერთმანეთისგან ცხენები, ჯორები და ვირები, თანაც სამივე ცხოვრებაში გამოცდილი ჰყავთ.

და უთუოდ ძნელად წარმოსადგენია ისეთი საგარეჯო, სადაც ბედაურები დაბოცებნიან და ჯორებსა და ვირებს დარჩებათ ეს უღალატესი კუთხე საქართველოსი.

ამიტომ ასეთია საგარეჯოელთა საყოველთაო აზრი: გეყო, ჭიამყრალა ჭიამყრალა ვილო, ტყუილების მენსიქვილეობა, შენი სარეველა-ცუდბალახისგან დაფქული ფქვილისგან კახური დედას პური არც არასოდეს

დღეს გამომცხვარა და არც გამოცხვება.

შეშვი მუქთანორა ცხოვრებას, ხალხის კისერზე სისხლი საწოვრად ჯდომას და, რამე უფრო საშენო საქმე ნახე. თუნდაც ზაფხულის ცხელ დღეებში ყოფილი პირველი ლედისთვის მარაოს ქნევაც არ იქნება ცუდი. ოდესიდან ნაღდად დაგიფასდება, მით უმეტეს, თუ ჩვეულ კუდის ქნევასაც საოდესოდ ისევ ძველ დონეზე განაგრძობ.

და როგორც თხლეობორისტი შალიკო ნათელაშვილი არ გახდება ამერიკის პრეზიდენტი კი არა, ვიცე-პრეზიდენტი, ისე თქვენს ათას დანაშაულში ამოლაფულ პარტიას არ უწერია მკვდრეთით ადგომა.

2016 წლის 8 ოქტომბერი ერთხელ და სამუდამოდ თქვენი პოლიტიკური დაკრძალვის დღედ უნდა იქცეს. მუსიკალურად, ცხადია, გოგა ხაჩიძე გააფორმებს, თანაც გირჩისა და წიწვის სუნით შეკაზმავს.

ეს თვითონ ნაციონალთაგან მწარედ ნანგენვი ჩვენი ამომრჩევლის შეუშვადარი პროგნოზია..



### სააკაშვილის ახალი ლაშქარი

**6**  
**უსეფო-  
ნაციონალიზმი:  
როდის  
დაეთავრდება იგი?**  
დაუჯერებელი აზრები  
ილია წმინდისა და აშირანისა



**7**  
**გზა დაგლოცოდეს  
ლაბირინთების ხეივანში!**

# საქართველოს პრეზიდენტი სლოვენის პრეზიდენტს უხვდა



სლოვენის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სლოვენის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბორუტ პაჰორს პირისპირ შეხვდა, რის შემდეგაც ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა შესხვედრა, დელეგაციებთან ერთად, გაფართოებულ ფორმატში გამართეს.

შესხვედრისას მხარეებმა, სლოვენის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების საკითხები განიხილეს, ურთიერთობების გაღრმავებას კი, მხარეების აზრით, ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმებები, რომელიც გუშინ გაფორმდა. საქართველოს პრეზიდენტმა

სლოვენის პრეზიდენტს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე, დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე და არსებულ წინასაარჩევნო გარემოზე დეტალური ინფორმაცია მიანიჭა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სლოვენის პრეზიდენტს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მუდმივი მხარდაჭერისთვის.

გიორგი მარგველაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ 2016 წლის ოქტომბერში, საქართველოში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე სლოვენელი დამკვირვებლები ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი.

მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა.

ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესახებ და ღრმა და ყოველმხრივი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეწყობის შესაძლებლობების ფონზე, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების საკითხზე.

საქართველოს პრეზიდენტმა სლოვენის პრეზიდენტი საქართველოში მოინვია.

# ქართულს თუ ქართუი ქართულ ენაზე დააბრუნებენ კი ქართველები და ეს სწორად სამხედროებთან იყო დაკავშირებული



თურქეთში მცხოვრებმა ზაზა ნურნუმიას განცხადებით, მეზობელ სახელმწიფოში მომხდარი მოვლენების გამო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პანიკისა და შეშფოთების საფუძველი არ არსებობს.

„ხელისუფლების მხრიდან პანიკისა და შეშფოთების საფუძველი არ არსებობს. თურქეთი დიდი ქვეყანაა, მას ლეგიტიმური ხელისუფლება ჰყავს, როგორც გაირკვა, ჰყავს ძალიან დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარე ხალხი, რომელიც მსგავს პრეცედენტს აღარ დაუშვებს. ვფიქრობ, საზღვრის ჩაკეტვა და მოვლენების დრამატიზაცია საჭირო არ არის,“ – განაცხადა ზაზა ნურნუმიამ.

ამასთან, ექსპერტი ვარაუდობს, რომ თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობა სხვა შედეგებით დასრულდება. „ჩვენს ექსპერტებს, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, თურქეთის შიდა პოლიტიკა მიმოიხილონ, გამორჩა ერთი ფაქტორი, მაგრამ ცოტა დაფიქრებაა საჭირო, რომ სხვა ქვეყნის შიდა მოვლენები საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ. თურქეთში მილიონობით ქართველი, ლაზი და აფხაზი ცხოვრობს, მათ კულტურული საზოგადოებები აქვთ შექმნილი. ეს ხალხი ერთდროულად პირობებში ძალიან კარგად გამოხატავს თავის კულტურულ მოთხოვნებს, მიმდინარეობს გვარების დაბრუნების პროცესი, რამდენიმე უნივერსიტეტში მოქმედებს ქართული ენის შესწავლის კურსი.“

სამხედრო რეჟიმის პირობებში ადამიანების უფლებები ირღვევა და ითრგუნება, რაც საფრთხეს მიაყენებდა, პირველ რიგში, იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს. არ არის გამორიცხული, ათასობით ჩასულ საქართველოს მოქალაქესაც.

ჩვენ ვიცით, რომ ასლო წარსულში ქართველებს თურქეთში ქართულ ენაზე დაბრუნება კი ეკრძალებოდა და ეს სწორედ სამხედროებთან იყო დაკავშირებული,“ – განაცხადა მან.

## თინა ხიდაშელი აუზ-ში გაემგზავრა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ოთხდღიანი ვიზიტით აუზ-ში გაემგზავრა.

თინა ხიდაშელი პენტაგონში შესხვედრებს გამართავს. როგორც ხიდაშელი გამგზავრებამდე განაცხადა, მთავარი მიზანი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ამოქმედებაა.



## იან კლი: არსებობს საკმაოდ აბიციური გზა პროფესიული განათლების განვითარებისა!

პროფესიული განათლების მნიშვნელობასა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდაზე ისაუბრა შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კლიმ. ელჩმა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა და აუზ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პირველი ყოველწლიური კონფერენცია გახსნა.

„ბევრ დამსაქმებელს, რომელიც დღეს შეიკრიბა, შეიძლება არ გააჩნდეს პრობლემები მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისას, თუმცა საშუალო დონის კადრების მოზიდვა არის რთული. სწორედ ტექნიკური სამუშაოების შესრულების თვალსაზრისით არის გარკვეული სირთულეები. არათანაბარი განვითარება, პროფესიული განათლება, მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ქალბატონების ჩართულობა ტექნიკური სა-

მუშაოების შესრულებაში... დღეს ჩვენ სწორედ ორგანიზებას ვუკეთებთ ერთ-ერთ კონფერენციას, ტრენინგს, სადაც ამ თემებზე მიდის მსჯელობა.“

საქართველოს მთავრობამ, მე სიამოვნებით ვიძახი, დიდი პროგრესი განიცადა სწორედ ამ მიმართულებით. არსებობს საკმაოდ აბიციური გზა პროფესიული განათლების განვითარების. დღეს ვისაუბრებთ როგორ გაზარდოთ ეკონომიკური მაჩვენებელი, განვითაროთ უნარ-ჩვევები, რათა დავასაქმოთ მეტი ხალხი. კერძო პროგრამებიც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ყველაფერი მხარს უჭერს ეკონომიკის განვითარებას და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში განვითარებას,“ – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კლიმ.



## აჭარის უმაღლესმა საბჭომ მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა

აჭარის უმაღლესმა საბჭომ აჭარის მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა – აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ლაშა კომახიძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია თავამაძე, ხოლო აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნუგზარ სურმანიძე გახდნენ. შედეგები კენჭისყრის დასრულების შემდეგ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძემ გამოაცხადა.

რაც შეეხება კენჭისყრას, ის დახურული იყო და მასში მონაწილეობა დარბაზში მყოფი 20 დეპუტატიდან 19-მა მიიღო. აჭარის მთავრობის შემადგენლობას მხარი დაუჭირა 12 დეპუტატმა, მათ შორის 5 დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“, 1 „კონსერვატორებიდან“, 1 „მრეწველებიდან“, 1 დეპუტატი „რესპუბლიკური პარტიიდან“, 1 „თავისუფალი დემოკრატებიდან“, 1 „ეროვნული ფორუმიდან“ და 2 დამოუკიდებელი დეპუტატი. მთავრობის ამ შემადგენლობის დამტკიცების წინააღმდეგი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ 7 დეპუტატი. 1-მა დამოუკიდებელმა დეპუტატმა კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

პროფესიული განათლების მნიშვნელობასა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდაზე ისაუბრა შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კლიმ.

„ბევრ დამსაქმებელს, რომელიც დღეს შეიკრიბა, შეიძლება არ გააჩნდეს პრობლემები მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისას, თუმცა საშუალო დონის კადრების მოზიდვა არის რთული. სწორედ ტექნიკური სამუშაოების შესრულების თვალსაზრისით არის გარკვეული სირთულეები. არათანაბარი განვითარება, პროფესიული განათლება, მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ქალბატონების ჩართულობა ტექნიკური სა-



## აპრტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ საარჩევნო კამპანია იმართებს

წუხელ, 20 საათზე, ქალაქ ქუთაისში ოფიციალურად გაიხსნა ჩვენი წინასაარჩევნო კამპანია, – აღნიშნული განცხადება პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ გააკეთა.

„კამპანია გახსნა პრემიერ-მინისტრმა, ჩვენი პარტიის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი კვიციანიშვილმა. ამავე ღონისძიებაზე დასახლდა იმერეთის მხარის თერთმეტივე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი“, – აღნიშნა პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა.

კანდიდატების წარდგენა ქუთაისში, აღმაშენებლის ქუჩაზე გაიმართა.

## პაატა ბურჭულაძის დაკავებით ჩატარებული „ნადი“ კვლევა

პოლიტიკურმა მოძრაობამ „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ მორიგი კვლევის შედეგები გაახმაურა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი კვლევა ივნისის ბოლოს ჩატარდა და მასში საქართველოს დიდ ქალაქებში მცხოვრები 1200 რესპონდენტი მონაწილეობდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ რეიტინგში მესამე ადგილზეა და მას რესპონდენტების – 12% უჭერს მხარს.

კითხვაზე „ვის დაუჭერთ მხარს საპარლამენტო არჩევნებში?“ პასუხი არ გასცა მხოლოდ 24%-მა.

კვლევის საბოლოო შედეგებით, პირველ და მეორე ადგილზე მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ შორის სხვაობა 1%-ს შეადგენს.

კვლევაში პოლიტიკურ პარტიათა რეიტინგი ასე გამოიყურება: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 19%  
მმართველი პარტია – 18%  
„პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – 12%  
„ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“ – 7%  
უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ პარტიათა საარჩევნო რეიტინგში სტაბილურად მესამე პოზიციაზეა.




# ვისზე როგორ იმოქმედებს ოტსთვიანი „არღაღებები“?

## ინვესტორები ანერგეტიკის სფეროში პროექტების შეფასების საფორმის საფრთხეზე საუბრობენ

ინვესტიციის სამინისტრო ინვესტორებთან ურთიერთობის ახალ პოლიტიკაზე გადამდის. რამდენიმე თვის განმავლობაში სამინისტროს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების პროცესი შეჩერებული ჰქონდა. არსებული პოლიტიკის მიხედვით, ინვესტორებთან გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ფორმდება, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო რამდენიმე თვის განმავლობაში გარანტირებულად შეისყიდის ელექტროენერჯიას კონკრეტული კომპანიისგან. ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი „კომერსანტთან“ ამბობს, რომ ამ საკითხის შესწავლა მოხდა და გადაწყდა, რომ 12-თვიანი გარანტირებული შესყიდვები აღარ იქნება. გაფორმდება მხოლოდ ნაწილობრივი, 8-თვიანი ხელშეკრულება. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ 12-თვიანი აღარ იქნება იმ მიზეზით, რომ დიდ პროექტებს აქვთ გარკვეული რისკები, რომ გაზაფხულ-ზაფხულში შეიძლება ჭარბი ენერჯია იყოს, რომელიც სახელმწიფოს არ სჭირდება, მაგრამ მაინც უნდა შეისყიდოს. სწორედ ამ პრაქტიკაზე ამბობს უარს ხელისუფლება.

მინისტრის მოადგილის თქმით, სახელმწიფოს ენერჯეტიკის სფეროში შემდეგი გეგმა აქვს: დაახლოებით 2 ათასი მეგავატი უნდა განვითარდეს გადაიხედება. რაც შეეხება შესყიდვის ტარიფს, ელოშვილი ამბობს, რომ ტარიფი იგივე რჩება და ეს იქნება მაქსიმუმ 6 ცენტრი ერთი კილოვატ/საათისთვის.



მცირე და საშუალო ჰესების სარჯზე, რომლებიც შემოდგომა-ზამთარში საქართველოს ტოვებენ ელექტროენერჯიას, გაზაფხულ-ზაფხულში კი მათ ექნებათ საშუალება, თურქეთში ივაჭრონ. ილია ელოშვილი ამბობს, რომ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს უკვე შეატყობინეს. მისივე მტკიცებით, ზოგადად 12-თვიანი შესყიდვების ხელშეკრულება იყო გამონაკლის შემთხვევებში და ახლა ასეთი გამონაკლისები აღარ იქნება. ამასთან, მისივე თქმით, სახელმწიფოს მყარი პოლიტიკაა, რომ უკვე გაფორმებული ხელშეკრულებები არ

მოვა. მთლიანად ენერჯეტიკიდან კი 15 მილიარდის შემოსვლის პოტენციალია, - აცხადებს ელოშვილი.

„კომერსანტმა“ ხელისუფლების პოლიტიკის შეფასება „ენერჯეტიკის აკადემიის“ პრეზიდენტს რეზო არველაძეს სთხოვა. არველაძე ამბობს, რომ გაურკვეველია, როგორი პოლიტიკა აქვს ენერჯეტიკის სამინისტროს ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით, რადგან იყო საუბარი, რომ 2025 წლამდე ახალი პროექტები არ განხორციელდებოდა. რაც შეეხება გარანტირებული შესყიდვის დოკუმენტს, არველაძე ამბობს, რომ შესყიდვის დოკუმენტის ვადები თუ შემცირდება, ეს უარყოფითად იმოქმედებს ინვესტორებზე, რადგან როდესაც გრძელვადიან მსვლი ინვესტიციაზეა, საუბარი, ინვესტიციას დაბრუნება უნდა და თუ გარანტირებული შემსყიდველი არ იქნა, დადებით შედეგებზე საუბარი რთულია. მისივე თქმით, თუ ინვესტორს გარანტია 8 თვის შესყიდვაზე ექნება, ის დაფიქრდება დარჩენილ 4 თვეზე, რადგან შესაძლოა, იმ პერიოდში მყიდველის გარეშე დარჩეს.

ამერიკულ კომპანია Headwall Power-ს და მის ქართველ პარტნიორ „მზის ენერჯის კომპანიას“ გარდაბანში მზის ენერჯის პოტენციალის შესწავლა და პროექტში 120 მილიონი დოლარის დაბანდება სურს. ამ მიზნით სახელმწიფოსთან ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. „მზის ენერჯის კომპანიის“ ხელმძღვანელი ვახტანგ კომახიძე „კომერსანტთან“ ამბობს, რომ გარდაბანში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დაწყებულია, რომელიც 4 ეტაპისგან შედგება, პირველი ეტაპი სრულდება და პროცესი სულ 12 თვეს გაგრძელდება, ვიდრე საპროექტო სამუშაოებზე გადავლენ. ამასთან, კომახიძე ამბობს, რომ გარანტირებული შესყიდვის დოკუმენტების გაცემის შეჩერება მნიშვნელოვნად მოქმედებს პროცესზე. მისივე თქმით, სურთ, რომ ნინოწმინდაშიც შეისწავლონ მზის ენერჯის პოტენციალი, თუმცა სანამ გარანტირებული შესყიდვების დოკუმენტების გაფორმება არ აღდგება, ამის დაგეგმვა რთულია. კომპანიას იმედი აქვს, რომ შემოდგომისთვის დოკუმენტების გაცემა განახლდება და დაჩქარებულ ვადებში მოახერხებენ პროცესის დასრულებას.

სალომე სოსელია

## პაატა ბურჭულაძის სახელით სარგებლობენ?

მოძრაობა „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ მოსახლეობას მიმართავს, რომ მოძრაობის სახელით მათთან მისულს თანხა არ მისცენ.



ამის შესახებ ბრიფინგზე მოძრაობის წევრმა მეტრეველმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, ბოლო რამდენიმე დღეა, თბილისში და ქვეყნის სხვა ქალაქებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც „პაატა ბურჭულაძე – მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ სახელით უცნობი პირები მოქალაქეებთან სახლში მიდიან და პარტიული შემოწირულობის სახით სხვადასხვა ოდენობის თანხას ითხოვენ.

„პარალელურად გარკვეული პირები, რომელთა ვინაობა ასევე უცნობია ჩვენთვის, აზრის გამოკითხვის საბაზით მოქალაქეებთან აწარმოებენ გასაუბრებას პოლიტიკურ თემებზე, რა დროსაც ახდენენ ჩვენი მოძრაობის რეპუტაციის შელახვას, არასწორი ინფორმაციის გავრცელებას და აცხადებენ, რომ ჩვენ ვართ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის სატელიტები.“

გვესურს, ჩვენი თანამოქალაქეებს მოგიწოდოთ: არ შეხვიდეთ შეცდომაში და ჩვენი მოძრაობის სახელით მოსულ არც ერთ პირს არ მისცეთ არანაირი ოდენობის თანხა. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქაც ისევე როგორ პირველ შემთხვევაშიც, საქმე გაქვს პარტიის რეპუტაციის შელახვასთან. ამ კამპანიის ორგანიზებული ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს დაინტერესებული სახელისუფლებო ჯგუფის მიზანმიმართულ შავ პიართან, რომელიც ძველი და ცაცვეთილი მეთოდებით აწარმოებს ჩვენთან პოლიტიკურ ბრძოლას. კატეგორიულად ვთხოვთ სამართალდამცავ ორგანოებს, დაინტერესდნენ აღნიშნული ფაქტებით და გამოიძიონ ეს შემთხვევები.

კიდევ ერთხელ მივმართავთ მოსახლეობას – არ აჰყვეს პროვოკაციას. ჩვენი აქტივისტები თქვენთან აუცილებლად მოვლენ მხოლოდ თქვენი პრობლემების მოსახმენად, საქართველოს განვითარების ჩვენს მიერ შემუშავებულ გეგმაზე სასაუბროდ და ცესკოში პარტიის რეგისტრაციისთვის საჭირო ხელმოწერების შესაგროვებლად“, - განაცხადა მეტრეველმა.

## არ ენდომთ თაღლითებს!

### ლტოლპილთა და განსახლების სამინისტროს დახმარებით მოსახლეობას მიმართავენ

ლტოლპილთა და განსახლების სამინისტროს შიდა აუდიტის ნარმომადგენელ ზვიად ლათიბაშვილის განცხადებით, დევნილებსთვის ბინების გადაცემა ხდება კომისიურად, გამჭვირვალედ და ღიადა. ამის შესახებ ლათიბაშვილმა შსს მიერ თაღლითობის ბრალდებით იმ პირების დაკავების კომენტარებისას განაცხადა, რომლებმაც აფხაზეთიდან დევნილს, შესაბამისი ქულების მომატების სანაცვლოდ, 15 ათასი დოლარი მოსთხოვეს.

ბრალდებულებმა დევნილს 7 ათასი აშშ დოლარი გამოართვეს, დანარჩენ 8 ათასის გამოართვევას კი მოგვიანებით გეგმავდნენ. „2012 წლიდან დღემდე სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობის შედეგად 7 თაღლითობის ფაქტია გამოვლენილი. აქვე მივმართავთ დევნილ მოსახლეობასა და საზოგადოებას – არ დაუჯერონ მსგავს შემთხვევებებს. ბინების განაწილება ხდება კომისიურად, ღიადა და გამჭვირვალედ. ყოველი ასეთი ფაქტი გამოაშკარავებული იქნება. მოვუწოდებთ დევნილებს, რომ მსგავსი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს, ან დევნილთა და განსახლების სამინისტროს. ანონიმურობა იქნება დაცული“, - განაცხადებს სამინისტროში.



## გაზომარაგება

აზერბაიჯანში, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, ირანი, ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი – ეს სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის იმ ქვეყნების ჩამონათვალია, სადაც სადღესოდ 47 გაზის მიწისქვეშა საცავია, რაც მნიშვნელოვნად ამალავს მათი პატრონი ქვეყნების ენერგოსაფრთხის დონეს. ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავები რეგიონის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოში არ არის, თუმცა კი მათი მონაცემების აუცილებლობაზე ლაპარაკი ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობს. თავის დროზე ამ მიმართულებით თითქოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, მაგრამ საქმე მაშინ ადგილიდან არ დაიძვრა. ახლა კი სხვა ვითარებაა: მიმდინარე წლის დასასრულამდე საქართველოში ბუნებრივი გაზის პირველი მიწისქვეშა საცავის მშენებლობა თბილისის მახლობლად, სამგორში, ნავთობის დაცლილი საბადოს სამხრეთ თაღზე დაიწყება, რომლის დასრულების შემდეგ

# თუ ქვეყანას გაზის გასაჭირი დაუდგა...



ქვეყანას დაახლოებით 280 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის შენახვის შესაძლებლობა ექნებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის გაზსაცავის უქონლობა საქართველოს საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მომხმარებელთა გაზის მომარაგებაში, როცა რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან (რომლებიც ჩვენში გაზის მთავარი იმპორტიორები არიან) ენერგოშემცველის მოწოდების დაუგეგმავი შეფერხება იყო, რასაც კიდევ უფრო ართულებდა მიწოდებასა და მოხმარებას შორის არსებული სეზონური დისბალანსი. რამდენიმე თვის წინათ დასრულდა მუშაობა სამგორის გაზის მიწისქვეშა საცავამდე გაზსადენის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტზე, რომელიც საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა ფრანგულმა კომპანია „ჯეოსტოკმა“ მოამზადა.
















მომზადებული



წყვილებში გაიმარჯვა

თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა პოლონური პოზნანის ჩემპიონატში...

ნატა ნერბაძე

მეორე ზონაში დარჩნენ

წლეულს გაზაფხულზე დევისის თასის გათამაშების მეორე ევროპული ზონის პირველ ტურში...



მატჩში გიორგი ცივაძე სტუმართა ლიდერ ბენჯამინ ლოკთან დამარცხდა...

წყვილთა პაექრობაში ბასილაშვილი და ითონიშვილი და ბენჯამინ და კორტნი ჯონ...

საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა 3:2 და მეორე ევროპული ზონაში ადგილი შეინარჩუნა

თამაზ პატარიძე

მკლესნობა

უსახელოდ...

თბილისში დამთავრდა ახალგაზრდა მკლესნობის ევროპის პირველი ჩემპიონატი...

მედიის 28 ქვეყნის სპორტსმენებმა გაიმარჯვებულნი. არაოციკალიურ გუნდურ ჩათვლაში...


ლემსო ცინცაძე



ფარიკაობა

11 ლიცენზიატთან პაექრობისას

წლეულს 10 აგვისტოს ქართველი მოხმალავე სანდრო ბაზაძე რიოს საფარიკაო ბილიკებზე...



ციო ეტაპზე ხუთი შეხვედრა მოიგო და ერთი დათმო. სამაგიეროდ, პლეი-ოფში...

გივი გაბაია სურათები: სანდრო ბაზაძე.

ფეხბურთი

„დინამო“ პრეზანშია

თბილისის „დინამო“ სრული შემადგენლობით უკვე ერევანშია. თბილისელები სასტუმრო Radisson BLU-ში დაბინავდნენ...

დინამოელთა ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, გუნდმა გუშინ სალამოს ვაზგენ სარგსიანის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე...

შეგახსენებთ, რომ დღეს აღნიშნულ სტადიონზე უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო შეხვედრაში...



უეფა წლის 10 საუკეთესო მოთამაშე შეარჩია

უეფა 2015-2016 წლების სეზონის 10 საუკეთესო ფეხბურთელი შეარჩია და მათგან საუკეთესოს 25 აგვისტოს გამოავლენს...



კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“, პორტუგალია), ლუის სუარესი („ბარსელონა“, ურუგვაი).

ზემთ ჩამოთვლილი ათეულიდან უეფა სამ ფინალისტს 5 აგვისტოს დაასახელებს...

უეფა ასეთი სისტემით წლის საუკეთესო ფეხბურთელს 2011 წლიდან ასახელებს. პირველად მისი გამარჯვებული ლიონელ მესი გახდა...

კობა კობახიძე

ნიჩოსნობა

ქართული კანოსტაპის ბულგარული თამაშა



ალექსანდრე (ბულგარეთი) დამთავრდა ახალგაზრდა და 23-წლამდე წიბოსანთა ევროპის ჩემპიონატი...

რამ საბოლოოდ მაინც მეორე ადგილზე გავიდა, რადგან რუსმა ალექსანდრე ტუტუაევმა ჩვენებურს 0.012 წამით გაუსწრო...

ქართველი სპორტსმენებიდან 23-წლამდე წიბოსანთა 200 მეტრზე (37.631) ერთადგილიანი კანოეთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა...


18 წლის გოგონათა შორის ორ დისტანციაზე ცდიდა ძალებს დუშელი მარი ქერდიკაშვილი, რომელიც ერთადგილიანი კანოეთი 500 (2.48.68) და 200 მეტრზე (52.711) ფინალში მეექვსე ადგილებს დაეკავშა...

18 წლი ვაჟებში ერთადგილიანი კანოეთი გამოდიოდა იური ბერაშნევიჩი, ბელარუსი სპორტსმენი...

იცავს. 500 მეტრზე იგი ფინალში გავიდა, მაგრამ პაექრობის წინ მიიწი ნაჟი დასაშვებ წონაზე 200 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა...

ლაშა დიდა

სურათები: ზაზა ნადირაძე და მურმან მალანია.



კალათბურთი

მე-4 ადგილი და ფინალის საგზური

3X3 კალათბურთში საქართველოს 18-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მე-4 ადგილი დაიკავა...

საქართველოს ნაკრებმა დავით აფხაზავას, ნიკა ნირღვავას, გიორგი კორსანტიას და ნიკა ლოლიშვილის შემადგენლობით ჯგუფში პოლანდიას და სლოვაკეთს მოუგო...

ეგრეთ წოდებული რეპეშაჟი საფრანგეთმა მოიგო, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გასულ ჩემსის, ბელგიას, უნგრეთს და საქართველოს შეუერთდა.

ევროპის 18-წლამდელები ჩემპიონატის ფინალური ეტაპი უნგრეთის ქალაქ დებრეცენში მიმდინარე წლის 3-5 სექტემბერს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე



ნანუკა აბულაძე ათი წლისა

ჩემო ნანუკა, ჩემო კარგო, გონიერო, ლამაზო გოგო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს სწავლაში და დიდ მიღწევებს შენს დიდ გაცხადებაში.



შენი ნათლია ოთარ ტურაბაიძე

ღვინის „გამოსწორება“

იმის გასარკვევად, თუ რა შეიძლება ეშველოს „ნაკბენ“ ღვინოს, ამერიკელმა ქიმიკოსებმა მასში სპილენძის ცენტრიანი მონეტების ჩაგდება და ანჯღრევა დაიწყეს.

ამის მიზანი იმის დადგენა იყო, თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლია სპილენძს გაფუჭებული ღვინის გამოკეთება, რომელსაც ლაყვე კვერცხის, დამწვარი რეზინისა და ასანთის დამახასიათებელი სუნი აქვს. სპილენძი ამჟამინდელ ღვინოში არსებულ მკვეთრი სუნის მქონე მერკაპტანებთან ურთიერთობს, რა დროსაც უსუნო სპილენძის სულფიდს წარმოქმნის. ამ დროს მერკაპტანების შემცველობა ღვინოში იკლებს, მისი სუნი და გემო კი უმჯობესდება.

სსოველთა მოწყვანა

დაპირვიწყობით დადგინდა, რომ მრავალ ცხოველს მონყენილობის გრძობა ეუფლება, ისინი დისკომფორტს განიცდიან დიდი ხნის განმავლობაში ახალი ინფორმაციის მიუღებლობისა და სათამაშო საგნების უქონლობის გამო.

ამ დროს მათი ყოფაქცევა მონყენილი ადამიანისას ჰგავს. ცხოველთა ამ თვისებას ისიც ადასტურებს, რომ მოზრდილი ინდივიდებიც თამაშს დიდხანს ანდომებენ და ამ შესაძლებლობის მოკლებას განიცდიან. ყველაზე მეტად კი ეს თვისება მაიმუნებში, მტაცებლებსა და ზოგიერთ ფრინველში, მათ შორის ყვავებულსა და თუთიყუშებში ვლინდება.

რა გვალაპარაკებს ძილში?

რატომბა, რომ ჩვენ ზოგჯერ ძილში ვლაპარაკობთ? ეს, თურმე, მოძრაობის ცენტრების უკონტროლო აღგზნების გამო ხდება.

სწრაფი, ანუ პარადოქსული ძილის დროს, თავის ტვინის ზოგიერთი უბანი უნესრიგოდ აღიგზნება, რომელიც ზოგჯერ მოძრაობის, მათ შორის მეტყველების ცენტრსაც მოიცავს. იმის გამო, რომ ძილის დროს მოძრაობის კონტროლი არ არსებობს, მეტყველების ცენტრის ნეირონების აქტივობა შესაძლოა მარცვლების, სიტყვების, ფრაზების, ზოგჯერ კი, სულაც, გაშლილი გამონათქვამების წარმოქმნაში გამოიხატოს.



შემთხვევითა უმრავლესობაში ძილში ლაპარაკი არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს და არც მკურნალობას საჭიროებს.

ანაკლოტაჟი

— მძ სწორად ღმერთს მადარებენ: რომ მხედავენ, ამბობენ: „ღმერთო ჩემო! ისევ შენ ხარ?“

პოლიციის პიკეტი

— რატომ სვამდით ლუდს ბავშვების სათამაშო მოედანზე? — იმიტომ, რომ დიდების სათამაშო მოედნები ქალაქში არა გვაქვს!

— მძ და ჩემმა მეუღლემ ქორწილის წლისთავის აღნიშვნა შამპანურით გადავწყვიტეთ... გაშვებებით კი უკვე პოლიცია გვაშვებდა...

— ძილის დროს ლოგინში ისე ვწრიალებ, დილაობით საბანი თავსაბურავით მაქვს შემოხვეული, ცოლი კი სულ მიჩინებს, საკუთარ ცხოვრებაში ვერ გარკვეულხარო...

პატარა ბიჭუნა დედასთან მიიბრუნს გულამოვარდნილი და აღელვებული ეუბნება: — დედიკო, დედიკო, ჩვენ სხვენში სულ ტიტველი ადამიანები წვანან! — ისინი ველური ადამიანები არიან, შვილო! — ამჟამად პატარას დედა. — არა დედიკო, ველური მარტო დეიდაა, მამიკო კი ჩვენია, შინაური!

სოფელში ფიჭური კავშირგაბმულობის ანძა დადგეს. ერთ თვეში მოსახლეობამ მობილური კავშირის კომპანიას საჩივრით მიმართა — ეს ანძა მოგვაცილებს, თორემ ყველას ერთიანად თავის ტკივილები დაგვეწყოს, ყველანი თავს ცუდად ვგრძნობთ და ა. შ.



კომპანიის დირექტორის პასუხი მოკლე და მარტივი იყო: „ეს ყველაფერი სისულელეა. თქვენ ნახეთ მერე რა იქნება, როცა ანძა ჩაირთება“.

„გაიქუსი, პეტრე, გაიქუსი!“

რმსპუშლიკს სახას (იაკუტის) მკვიდრი, 68 წლის პეტრე ნაუმოვი, ცნობილი მარათონელი, რომელმაც მთელი რუსეთი შემოიბრინა, ახლა... დედამისის შემორბენას გეგმავს. მისი ეს გადაწყვეტილება მით უფრო სენსაციურია იმის გათვალისწინებით, რომ მას იმდენად ცუდი მხედველობა აქვს, რომ ინვალიდობის ჯგუფიც კი აქვს მიკუთვნებილი!

2007 წელს პეტრე ნაუმოვმა ბაიკალის ტბიდან იაკუტსკამდე გარბენა მოახდინა და ეს ღონისძიება რუსეთის შემადგენლობაში იაკუტის შესვლის 375 წლისთავს მიეძღვნა. 75 დღეში პენსიონერმა 3175 კილომეტრი „დისტანცია“ გაიბრინა, სამი წლის შემდეგ კი ეს მანძილი — კალინინგრადიდან ვლადივოსტოკამდე! — უკვე 12090 კილომეტრამდე „გაზარდა“, რომელთა დაფარვას 207 დღე მოახდომა.

ამ ჯერზე კი ეს სუპერმარათონელი ერთიანად დედამისის შემორბენას აპირებს. ცხადია, რომ ამ მიზნის განსახორციელებლად პეტრე ნაუმოვსა და მის მეუღლეს (რომელიც მას მარათონულ რბოლაში გაჰყვება) საკმაოდ სოლიდური ფინანსური სახსრები დასჭირდება. ამიტომაც იაკუტის მცხოვრებლებმა მისთვის დახმარების განევა გადაწყვიტეს — საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ცნობილ სპორტსმენებს, მსახიობებსა და მუსიკოსებს მოკლე რგოლების ჩანერის თხოვნით მიმართეს, რომლებშიც მხოლოდ მოკლე რეპლიკა „გაიქეცი, პეტრე, გაიქეცი!“ იქნება.

კინოფილმ „ფორესტ ჰამპიდან“ აღებული ეს ფრაზა ფულის შეგროვების კამპანიის დევიზი გახდა, სადღეისოდ კი თავიანთი რგოლები უკვე ჩანერეს მარათონში მსოფლიო ჩემპიონმა სარდანა ტროფიმოვამ, თეატრისა და კინოს მსახიობებმა პავლე დე-



რევიანკომ და ამადუ მამადაკოვმა, ასევე იაკუტის რეგიონში მოქალაქეებმა.

მაგრამ ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ ამ მონოდებას გულითადად გამოეხმაურა პოლიგუდის ვარსკვლავი, ოსკაროსანი ტომ ჰენკი, რომელმაც კინოფილმ „ფორესტ ჰამპში“ მთავარი როლი შეასრულა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ მზადაა პეტრე ნაუმოვს ამერიკაში დახვდეს, როცა იგი ამ ქვეყანაში ჩავა და შემდეგ სამშობლოში დაბრუნებაშიც დაეხმაროს.

ინფო ალექსანდრიძე

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA სულხან-საბას ქ. №3 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-13-34 599 36-00-35 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; რუსლან რუსია 599 17-21-21; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24 გამომცემლობა: შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20 uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 385001 ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ: 6 თვით — 60 ლარი, 1 წლით — 120 ლარი. მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 13 34; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2 143 906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-სტორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 55155444; „ჯეომედია“ — 593 977 888. ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, სულხან-საბას ქ. №3 ხელმოწერის ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკის პოსტის კარგი: აშშ ფოსტა - 2.307; კვირა - 2.57; ბრიტანული პოსტის სტამბა - 3.065; 100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796; აზერბაიჯანული მანათი - 1.463; 1000 სომხური დრამი - 5.831

აივანი 19 ივლისისთვის: ადრენალინი სპარტოპილი: ბარი - ღამე +15, დღე +30; შიანი რაიონები - ღამე +11, დღე +27; დანაკლები სპარტოპილი: ბარი - ღამე +17, დღე +31; შიანი რაიონები - ღამე +13, დღე +28; თბილისი: ღამე +18, დღე +26

დაგვიკავით, მოგვწერეთ: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE